

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გელა ჩავლეშვილის 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გელა ჩავლეშვილი წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ ბოხვაურის მაჟორიტარული ოლქიდან. საკრებულომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩია. ამავე დროს ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება_რესპუბლიკელების“ წევრი.

სოფელ ბოხვაურის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემატიკიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და სოციალური საკითხები. სწორედ ამ მიმართულებით იქნა გამახვილებული ჩემი ყურადღება. 2015 წელს საკრებულოს ყველა სხდომაში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ამასთან აქტიურად ვმუშაობდი კანონქვემდებარე აქტების მიღება-გამოცემაზე.

2015 წელს ბოხვაურში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ასე გამოიყურება:

_მოხდა სოფლის სრული გაზიფიცირება(გაზიფიცირებული იყო მხოლოდ 20%);

_სოფლის მხარდაჭერის პროექტით სულ შესრულებულია 44 016 ლარის სამუშაოები, მათ შორის

1)საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები და გაზიფიცირება_ 20 817ლარი;

2)გარე განათება:

ბოხვაურში_3398 ლარი;

ჭალა 13 719 ლარი;

3)სტადიონის ღობის მოწყობა(ნასათიბვარი)_ 2627ლარი;

4) გზის ორმული შეკეთება 3455 ლარი;

_სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებით სულ შესრულებულია_41 439 ლარის სამუშაო, მათ შორის

1)მანანა გირკელიძის ეზოს მიმდებარედ კალაპოტის რეაბილიტაცია_22 962 ლარი;

2) ვენერა გვრიტიშვილის ეზოს მიმდებარედ კალაპოტის რეაბილიტაცია_ 14 591 ლარი;

3) ჯებირის ალდგენა სოფლის ცენტრში_ 3886 ლარი.

_ჭალა-ბოხვაურში გზების მოხრეშვა დაგრეიდერებაზე დახარჯულია 2628 ლარი, მათ შორის

_გზების მოხრეშვაზე წლის განმავლობაში შემოტანილია 54 კმ 0,40 ფრაქციის ქვიშა-ლორღი ღირებულებით 810ლარი;

_სპეცტექნიკა ჯსპ-მ იმუშავა 5 საათის განმავლობაში ღირებულებით 226 ლარი;

_გრეიდერმა იმუშავა 11 საათი ღირებულებით 1025 ლარი;

_სატვირთო მანქანამ(გადმოზიდვა) იმუშავა 16 საათი ღირებულებით 567 ლარი;

_სოფლის საჯარო სკოლაში მოეწყო შენობაში შესასვლელი პანდუსი -ღირებულება 1056 ლარი.

განხორციელდა ბოხვაური-შემოქმედის 5 კილომეტრიანი გზის(იწყება წმინდა გაბრიელ ბერის ქუჩიდან) ასფალტირების პროექტირება პროექტის ღირებულება შეადგენს 5500 ლარს.

პროექტი გარდამავალია და შესრულდება 2016-2017 წლებში. მისი მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 842 700 ლარს.

სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე 2015 წელს დახარჯულია სულ 94639 ლარი.

_საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამით ბიუჯეტიდან დაფინანსდა 144 ჭალა- ბოხვაურელი, მათ შორის: 99 მოქალაქეს გაეწია 150 ლარიანი დახმარება, 15 მოქალაქე დაფინანსდა სარეზერვო ფონდიდან(თანხით 4080 ლარი).

_საანგარიშო პერიოდში სტიქიის შედეგად დაზარალებულ ჭალა-ბოხვაურის 20 ოჯახს გადაეცა პროფილირებული მოთუთიებული თუნუქი სახლის გადასახურად ზიანის რაოდენობის შესაბამისად სულ 480 ცალი ღირებულებით 25632 ლარი.

_ ერთ ოჯახს(ლილი დიდიგური) გადაეცა 5კმმ შეშა.

_სოფლის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში დამონტაჟდა 50 სავარძელი და საკონფერენციო მაგიდა.

საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით, საკრებულოს ბიუროს მიერ წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 33 დამოუკიდებელი და ორი ერთობლივი სხდომა . სულ განხილულ იქნა 44 საკითხი და გამოტანილი იქნა კომისიის 22 დასკვნა.
